

პოლიტარმაციის მართვის მიზნით 2018 წლის 16 ივლისიდან მოქმედებს ექიმის დანიშნულების გადამოწმების ახალი ინსტრუმენტი

1. რატომ უნდა გადავამოწმო ექიმის დანიშნულება?

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, მედიკამენტების გამოწერისას არსებობს სხვადასხვა სახის რისკები. ერთ-ერთი ასეთი რისკია პოლიტარმაცია-დიდი რაოდენობით მედიკამენტების საჭიროების გარეშე დანიშვნა და მიღება. ევროკავშირის ქვეყნებში ყოველი 20 რეცეპტიდან 1 შეიცავს შეცდომას მედიკამენტების რაოდენობის მიმართულებით. ექიმის დანიშნულების გადამოწმება დამატებით უზრუნველყოფს მკურნალობის მაღალ ხარისხს.

2. რა საშუალებით ხდება დანიშნულების გადამოწმება?

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა პოლიტარმაციის საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს პაციენტების მიერ გადამოწმების მიზნით გადმოგზავნილ დანიშნულებებს.

3. რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს დანიშნულება, რომ მოხდეს მისი გადამოწმება?

დანიშნულება უნდა მოიცავდეს ხუთ და მეტ მედიკამენტს. ამასთან, აღნიშნული დანიშნულებით მკურნალობა ან უნდა მიმდინარეობდეს, ან არ უნდა იყოს დაწყებული (დანიშნულების მატერიალური ფორმის არსებობისას ინფორმაცია უნდა მიუთითოთ თავად დანიშნულების ფურცელზე, ხოლო ელექტრონული რეცეპტის შემთხვევაში -სისტემაში უნდა აირჩიოთ მკურნალობის სათანადო სტატუსი-მკურნალობა მიმდინარეობს/არ არის დაწყებული). ამავდროულად, მატერიალური ფორმით წარმოდგენილი „დანიშნულების ფურცლის“ შემთხვევაში, ის უნდა იყოს წაკითხვადი, ტექნიკური ხარვეზების გარეშე.

4. როგორ გავგზავნო გადასამოწმებლად ჩემი დანიშნულება?

ელექტრონული რეცეპტის შემთხვევაში დანიშნულების გადამოწმებისთვის მიჰყევით შემდეგ ინსტრუქციას: შებრძანდით ელექტრონულ პორტალზე [ელექტრონული რეცეპტების სისტემაში შესვლა](#) აღნიშნულ პორტალზე თქვენ უკვე რეგისტრირებული ბრძანდებით ექიმის მიერ ელექტრონული რეცეპტის პირველად გამოწერის დროს. სისტემაში შესვლისთვის საჭიროა

აირჩიეთ გვერდი „პაციენტი“ და შესაბამის ველში მიუთითოთ პირადი ნომერი და პაროლი.

სისტემაში შესვლა

ექიმი ფარმაცევტი **პაციენტი**

პაციენტის მოდული

პირადი ნომერი

პაროლი

დაგავიწყდათ პაროლი?

ავტორიზაცია

თუ პაროლი დაგავიწყდათ, შეგიძლიათ იხილოთ სამახსოვრო ბარათში, რომელიც გადმოგვცათ ექიმის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის დროს. მას შემდეგ, რაც თქვენ გაივლით ავტორიზაციას და შეხვალთ სისტემაში, შეგიძლიათ ექიმის დანიშნულების გადამონმებისათვის აირჩიოთ ორი გზა. **პირველი გზა:** აირჩიეთ ველი „დანიშნულებები“, აირჩიეთ ქვეგვერდი „ვიზიტი“, სასურველი ვიზიტის მონიშვნის შემდეგ მაუსის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით გამოჩნდება კლავიშა „განაცხადი განხილვაზე“, რომლის არჩევით იწყება განაცხადის შექმნა ამ ვიზიტის შესაბამის თარიღში გამოწერილი მედიკამენტების ერთობლიობაზე.

ვიზიტი		დანიშნულებები				
ნომერი	შექმნის თარიღი	ექიმი	რაოდენობა	მ.შ რეცეპტი	აქტიური განაცხადი	
<input type="checkbox"/>	D3E0000375912	08/06/2018	სახელი გვარი	5	3	
<input checked="" type="checkbox"/>	D3E0000368829	05/06/2018	სახელი გვარი	2	2	
<input type="checkbox"/>	D3E0000200861	04/04/2018	განაცხადი განხილვაზე	1	1	
<input type="checkbox"/>	D3E0000200860	04/04/2018	სახელი გვარი	2	1	
<input type="checkbox"/>	D3E0000107076	28/02/2018	სახელი გვარი	3	2	
<input type="checkbox"/>	D3E0000096742	25/02/2018	სახელი გვარი	1	1	
<input type="checkbox"/>	D3E0000093975	23/02/2018	სახელი გვარი	1	1	
<input type="checkbox"/>	D3E0000093957	23/02/2018	სახელი გვარი	3	2	
<input type="checkbox"/>	D3E0000089806	22/02/2018	სახელი გვარი	2	1	
<input type="checkbox"/>	D3E0000087642	22/02/2018	სახელი გვარი	1	0	

წინა
1
2
3
4
5
...
10
შემდეგი

მეორე გზა: აირჩიეთ ქვეგვერდი „დანიშნულებები“, სადაც ნებისმიერი დანიშნულების არჩევასა მასის მარჯვენა ღილაკზე დაჭერით იხილავთ კლავიშს „განაცხადი განხილვაზე“, რომლის არჩევით იწყება მონიშნული მედიკამენტის თარიღში გამონერილი ყველა მედიკამენტის ერთობლიობაზე, როგორც ერთ დანიშნულებაზე განაცხადის შექმნა.

ვიზიტი		დანიშნულებები										
შექმნის თარიღი	მედიკამენტი	რაოდ.	გამონერის ფორმა	შესაძლებელია ჩანაცვლება	ფარმაკოლოგიური ჯგუფი	ჯგუფი და გაცემის რეჟიმი	ექიმი	მიღების წესი	რეცეპტის ნომ.	ვადა	ნარჩენი რაოდ.	სტატუსი
08/06/2018	Enalapril / dihydrate / 1,25mg / 1მლ 0,5 სანიშნითი სხარი ამპულა №5 /	33	მხოლოდ გუნჯი	<input checked="" type="checkbox"/>	რენინ-ანგიოტენზინურ სისტემაზე მოქმედი საშუალებები, აგფ ინჰიბიტორები	II ჯგუფი, გაიცემა ფორმა №3 რეცეპტით	სახელი გვარი		F3E10000390463	11/07/2018	33	აქტიური
08/06/2018	ორციპოლი / Ciprofloxacin Hydrochloride / 500/500mg შეფარული ტაბლეტი №10	33	მხოლოდ საკბრო	<input checked="" type="checkbox"/>	სისტემური გროფების ანტიბაქტერიული საშუალება, ფლორუინოლინი	II ჯგუფი, გაიცემა ფორმა №3 რეცეპტით	სახელი გვარი		F3E10000390464	11/07/2018	33	აქტიური

ორივე გზას მივყავართ კლავიშამდე „განაცხადი განხილვაზე“, რომლის არჩევის შემდეგ სისტემა ავტომატურად ამოწმებს პირობას 5 და მეტი მედიკამენტის შემცველობაზე. თუ ეს პირობა დარღვეულია და დანიშნულება შეიცავს 5-ზე ნაკლებ მედიკამენტს, გამოდის

სათანადო შეტყობინება და განაცხადი ვერ შეიქმნება.



თუ პირობა დაცულია, გამოდის არჩეული მედიკამენტის/ვიზიტის შესაბამისი მედიკამენტების ჯგუფი, რათა კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ, სწორად აირჩიეთ თუ არა სასურველი დანიშნულება.

შექმნის თარიღი	მედიკამენტი	რაოდ.	გამოწერის ფორმა	შესაძლებელია ჩანაცვლება	ფარმაკოლოგიური ჯგუფი	ჯგუფი და გაყვამის რეჟიმი	ექიმი	მიღების წესი
08/06/2018	Enalapril / Enalaprilat dihydrate / 1მლ 1.25მგ/კმლ 1მლ 0.3 სინტეტიკო ხსნარი აბჯლა №5 /	33	შბოლოდ გენეროტი	<input type="checkbox"/>	რინ-ანგიოტენზინურ სისტემაზე მოქმედი საშუალებები, ანგიოპროტეზები	II ჯგუფი, გაიყვამა ფორმა №3 რეცეპტით	სახელი გვარი	
08/06/2018	ორტიპოლი / Ciprofloxacin Hydrochloride Ornidazole / 500/500მგ მეტოგარსული ტაბლეტი N10 /	33	შბოლოდ სავაჭრო	<input type="checkbox"/>	სისტემური გამოწვევის ანტიბაქტერიული საშუალება, ფტორინოლონი	II ჯგუფი, გაიყვამა ფორმა №3 რეცეპტით	სახელი გვარი	
08/06/2018	Metamizole sodium / 500მგ/მლ 2მლ 0.3 და 0.5 სინტეტიკო ხსნარი აბჯლა N10 (საბუნის ბინის მარცხ ტიპი XT-1) /	33	შბოლოდ გენეროტი	<input type="checkbox"/>	ანალგეზიური (საშუალებები: პირაზოლონები	III ჯგუფი, გაიყვამა რეცეპტის გარეშე	სახელი გვარი	
08/06/2018	Captopril / Captopril / 12.5მგ ტაბლეტი №20 (10X2) /	33	შბოლოდ გენეროტი	<input type="checkbox"/>	რინ-ანგიოტენზინის სისტემაზე მოქმედი საშუალებები, ანგიოტენზინის კონვერტირებელი ფერმენტის ინჰიბიტორები	II ჯგუფი, გაიყვამა ფორმა №3 რეცეპტით (გადადიდებული დანიშნულების გადგმა ურეცეპტოდ)	სახელი გვარი	
08/06/2018	Drotaverine / Drotaverine Hydrochloride / 12.5მგ ტაბლეტი №24 /	33	შბოლოდ გენეროტი	<input type="checkbox"/>	კარდინალის ტრანკვილანტი, ფუნქციური დარღვევების საჭკურალო საშუალებები, კარდინოლი და მისი ნარმეზულებები	III ჯგუფი, გაიყვამა რეცეპტის გარეშე	სახელი გვარი	

გაბრუნება

კლავიშით „გაგრძელება“ გადავდივართ განაცხადის ფორმაზე, სადაც მითითებულია განაცხადის სტატუსი (ენიჭება ავტომატურად). თქვენ თავად ირჩევთ უკუკავშირის მეთოდს (ტელეფონი, ელ.ფოსტა) და უთითებთ სათანადო ინფორმაციას. ასევე, აუცილებლად უთითებთ მკურნალობის სტატუსს (მკურნალობა მიმდინარეობს/არ არის დაწყებული). კლავიშა „დადასტურებით“ სრულდება განაცხადის შექმნა.

განაცხადი

განაცხადის სტატუსი

გადაგზავნილი

ელ-ფოსტით

vgoliadze@gmail.com

არ არის დანყებული მკურნალობა

დადასტურება

აღნიშნული გზებით შექმნილ ყველა განაცხადს ენიჭება ნომერი, რომელიც ჩანს
დანიშნულებებში ვიზიტების ქვეგვერდზე

ვიზიტი	დანიშნულებები					
<input type="checkbox"/>	ნომერი	შექმნის თარიღი	ექიმი	რაოდენობა	მ.შ რეცეპტი	აქტიური განაცხადი
<input type="checkbox"/>	D3E0000375912	08/06/2018	სახელი გვარი	5	3	
<input type="checkbox"/>	D3E0000375025	07/06/2018	სახელი გვარი	6	3	E29
<input type="checkbox"/>	D3E0000372737	07/06/2018	სახელი გვარი	6	3	E29
<input type="checkbox"/>	D3E0000368829	05/06/2018	სახელი გვარი	2	2	
<input type="checkbox"/>	D3E0000321079	18/05/2018	სახელი გვარი	1	1	E27
<input type="checkbox"/>	D3E0000321067	18/05/2018	სახელი გვარი	5	2	E27
<input type="checkbox"/>	D3E0000200861	04/04/2018	სახელი გვარი	2	1	
<input type="checkbox"/>	D3E0000200860	04/04/2018	სახელი გვარი	2	1	
<input type="checkbox"/>	D3E0000107076	28/02/2018	სახელი გვარი	3	2	
<input type="checkbox"/>	D3E0000096742	25/02/2018	სახელი გვარი	1	1	

წინა
1
2
3
4
5
...
10
შემდეგი

თუ რეცეპტი არ არის გამოწერილი ელექტრონულ ფორმატში, დანიშნულების ფურცელი წარმოადგინეთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ რაიონულ ფილიალში, სადაც ოპერატორი დოკუმენტს ელექტრონულად ატვირთავს ჯანდაცვის სამინისტროს დოკუმენტბრუნვის სისტემაში და თქვენი დანიშნულების ფურცელი ამ გზით გადაიგზავნება პოლიფარმაციის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფთან.

5. როგორ და რა ვადაში მივიღებ პოლიფარმაციის ჯგუფის პასუხს ჩემი დანიშნულების შესახებ?

დანიშნულება განიხილია პოლიფარმაციის სამუშაო ჯგუფი. შეტყობინებას იღებთ გასნაცხადის გაგზავნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, მომართვის ფორმის შესაბამისად: ელექტრონული რეცეპტის სისტემაში არსებულ პაციენტის გვერდზე, ან აკითხავთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ფილიალს.

იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი გაკეთებული გაქვთ ელექტრონულად, შედიხართ ელექტრონულ პორტალზე და ირჩევთ მენიუს „განაცხადები“ (აქ შესაძლებელია შექმნილი ყველა განაცხადების ნახვა). ცხრილში ჩანს ყველა განაცხადი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ნომრები.

აქვე ჩანს „განაცხადის შემდეგი სტატუსები: „გაგზავნილია“ ან „ხელმეორედ გაგზავნილია“ ნიშნავს, რომ განაცხადი ჯერ არ არის განხილული; „რეაგირებულია-არ სჭირდება/სჭირდება კორექცია“ ნიშნავს, რომ განაცხადი განხილულია სამინისტროს სამუშაო ჯგუფის კლინიკური ფარმაკოლოგის მიერ და გამოტანილია შესაბამისი რეკომენდაცია. ასევე ჩანს „ექიმის

სტატუსი“, რომელიც აღნიშნავს ექიმის მოსაზრებას (ვეთანხმები/არ ვეთანხმები) სამინისტროს სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

განაცხადის ნომერი	განაცხადის თარიღი *	გამოწერის თარიღი	ექიმის სახელი, გვარი	მაკინეტის შობილური	მაკინეტის ელ. ფოსტა	კომენტარი	ექიმის სტატუსი	სტატუსის შედეგი
E27	2018-05-20 03:55:31.463	2018-05-18	სახელი გვარი		...@gmail.com	1. N // 2. N...	არ ვეთანხმები	გადაგზავნილია - სულში
E28	2018-06-07 01:39:16.760	2018-01-30	სახელი გვარი		...@gmail.com	...		რეაგირე - არ სჭირდება კორექცია
E29	2018-06-07 11:02:47.303	2018-06-07	სახელი გვარი		...@gmail.com	1. N // 2. N1. N // 2. N შეორედ...	არ ვეთანხმები	გადაგზავნილია - სულში
E30	2018-06-07 17:29:02.103	2018-02-16	სახელი გვარი		...@gmail.com	ეჭვი მძებს პოლიფარმაციის შემთხვევებზე...		რეაგირე - არ სჭირდება კორექცია
E31	2018-06-08 11:00:11.277	2018-01-24	სახელი გვარი		...@gmail.com	1. Nგასაფრებ განხილეთ // 2. N ?????? ????? ?????? ?...	არ ვეთანხმები	რეაგირე - არ სჭირდება კორექცია

თუ დანიშნულება ატვირთული გაქვთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალიდან, დასკვნისთვის კვლავ მიაკითხეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ფილიალს, სადაც მიიღებთ პოლიფარმაციის ჯგუფის რეკომენდაციას დანიშნულების თაობაზე („დანიშნულებას სჭირდება კორექცია/დანიშნულებას არ სჭირდება კორექცია“. იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულებას სჭირდება კორექცია, მითითებული იქნება შესაბამისი კრიტერიუმი, ხოლო მის გასწვრივ ჩანერილ დანიშნულებაში კონკრეტული პროდუქტ(ებ)ის ნომერი/რიგითობა).

6. დავინყო/გავაგრძელო თუ არა მკურნალობა იმ შემთხვევაში, თუ მივმართე პოლიფარმაციის საკითხების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფს დანიშნულების გადამოწმების მიზნით?

მიუხედავად იმისა, რომ მიმართეთ პოლიფარმაციის საკითხების შემსწავლელ სამუშაო ჯგუფს დანიშნულების გადამოწმების მიზნით, თქვენ მაინც იწყებთ/აგრძელებთ ექიმის მიერ მოცემულ დანიშნულებას.

7. როგორ მოვიქცე, თუ პოლიფარმაციის სამუშაო ჯგუფისგან მივიღე შეტყობინება დანიშნულების კორექტირების საჭიროების შესახებ?

თუ შეტყობინებაში არის მითითება, რომ დანიშნულება საჭიროებს კორექტირებას, შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს ექიმს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ სარგებლობთ ელექტრონული რეცეპტის სისტემით და განაცხადი გაკეთებული გაქვთ მისი მეშვეობით, თქვენს პირად გვერდზე, ექიმი იხილავს დანიშნულების კორექტირების შესახებ არსებულ ჩანაწერს. მატერიალური ფორმით გადაგზავნილი „დანიშნულების ფურცლის“ შემთხვევაში, ის ინფორმაციას იხილავს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ პაციენტისთვის გადაცემულ დოკუმენტში. თუ ექიმი ეთანხმება აღნიშნული განხილვის შედეგებს, იგი შეიტანს საჭირო შესწორებას დანიშნულებაში.

8. როგორ მოვიქცეთ, თუ ექიმი არ დაეთანხმება პოლიფარმაციის ჯგუფის მიერ გამოგზავნილ შეტყობინებას დანიშნულების კორექტირების შესახებ?

იმ შემთხვევაში, თუ ექიმი არ ეთანხმება დანიშნულების განხილვის შედეგებს და მიზანშეწონილად არ მიიჩნევს დანიშნულების კორექტირებას, თქვენ უფლებამოსილი ხართ სთხოვოთ მას, მოგცეთ ახსნა-განმარტება დანიშნულების თაობაზე. ამავედროულად, დანიშნულების გადამონშების მიზნით, შეგიძლიათ ხელმეორედ მიმართოთ პოლიფარმაციის ჯგუფს.

9. როგორ უნდა მივმართო პოლიფარმაციის ჯგუფს დანიშნულების გადამონშების მიზნით მეორედ?

პოლიფარმაციის ჯგუფს მეორედაც მიმართავთ იმ ფორმით, როგორც პირველ შემთხვევაში: ელექტრონული რეცეპტის სისტემით (ელექტრონული დანიშნულების არსებობისას) ან წარმოადგენთ თქვენს დანიშნულებას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ რაიონულ ფილიალში.

10. რა ვადაში, სად და რა ფორმით ვიღებ პასუხს პოლიფარმაციის ჯგუფიდან განმეორებითი მიმართვის შემთხვევაში ?

განმეორებითი მიმართვის შემთხვევაში პასუხს იღებთ ელექტრონული რეცეპტის სისტემით ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალში, მომართვიდან (განაცხადის გაკეთებიდან/დანიშნულების გამოგზავნიდან) მომდევნო 3 სამუშაო დღის ვადაში, სტანდარტული ფორმატით („დანიშნულებას სჭირდება კორექცია/დანიშნულებას არ სჭირდება კორექცია“, ამასთან კორექტირების შემთხვევაშიც, ასევე, მითითებული იქნება კონკრეტული მიზეზი). იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულებას სჭირდება კორექტირება, შეტყობინებაში მითითებული იქნება, რომ აღნიშნულის შესახებ წერილი გაეგზავნება სამედიცინო დანესებულებას/ექიმს.

11. რა ვალდებულება უჩნდება ექიმს/სამედიცინო დაწესებულებას იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის განმეორებითი მომართვის შემთხვევაში დანიშნულება სჭირდება კორექტირება?

დანიშნულების განმეორებითი კორექტირების საჭიროებისას, პოლიფარმაციის ჯგუფიდან შეტყობინება ეგზავნება ექიმს/სამედიცინო დაწესებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ექიმი არ შეცვლის დანიშნულებას, ის ვალდებულია პოლიფარმაციის ჯგუფს გაუგზავნოს დასაბუთება აღნიშნულის თაობაზე. ამ დასაბუთებას განიხილავს პოლიფარმაციის ჯგუფი, შესაბამისი დარგობრივი ექსპერტის მონაწილეობით.

12. რა სახის სანქციები გატარდება ექიმების მიმართ, რომლებიც არ გაითვალისწინებენ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციას დანიშნულების ცვლილებაზე?

- თუ კალენდარული წლის განმავლობაში ერთი და იგივე ექიმის მიმართ დაფიქსირდება დანიშნულების კორექტირების სულ მცირე 5 შემთხვევა, მისი მონაცემები (სამუშაო ადგილის მითითებით) განთავსდება ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ სათანადო რეესტრში, ერთი წლის ვადით.
- თუ კალენდარული წლის განმავლობაში ერთი და იგივე ექიმის მიმართ დაფიქსირდება დანიშნულების კორექტირების სულ მცირე 7 შემთხვევა, აღნიშნული ექიმის საკითხი განიხილება პოლიფარმაციის ჯგუფის ფორმატში. განხილვის შედეგების გათვალისწინებით პოლიფარმაციის ჯგუფი უფლებამოსილია, დასვას პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე საკითხი აღნიშნული ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის განხილვის თაობაზე;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა პაციენტის მიერ გაგზავნილი დანიშნულებაში არის მნიშვნელოვანი ხარვეზი, პოლიფარმაციის ჯგუფის სამდივნოს კლინიკური ფარმაკოლოგების დასკვნის საფუძველზე, დასაშვებია, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნეს პოლიფარმაციის ჯგუფის ფორმატში. ამ შემთხვევაში პოლიფარმაციის ჯგუფი უფლებამოსილია, იშუამდგომლოს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის თაობაზე.